



მაღაზია „ლიზი“

სიახლეები

საბრენდო მაღაზია „ლიზი“ „INC.CO“ მაღალი ხარისხის ტექნიკის გარდა, გთავაზობთ „HARDU“-ს ასევე მაღალი ხარისხის ლაქ-საღებავებს, „DNIPRO“-ს, „TOLSE“-ს, „GMOW“-ს, სხვადასხვა ტექნიკას, კერამიკულ ნაწარმს, სანტექნიკას, სხვადასხვა სამშენებლო მასალებს: ნებისმიერი ზომის არმატურას, ფიგურულ მილებს და ა.შ.

მაღაზია „ლიზი“ მორიგ სიახლესაც გთავაზობს: მიღებული აქვს სხვადასხვა ზომის და სისქის მაღალი ხარისხის გამოსაკრავი პანელი (რუსეთის მასალა). თუკი რაიმე სახის მშენებლობას ან სარემონტო სამუშაოებს აპირებთ, ეწვიეთ მაღაზია „ლიზის“.

აქ თქვენ დიდი არჩევანი გელოდებათ.
მისამართი: ქ. ოჯურბეთი, თაყაიშვილის ქ. №10.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
 ყოველკვირეული გამოშვება. № 34 (10368) 23 ნოემბერი 2020 წ. შპსი 60 თეთრი.

ბილოცავთ ბიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს!



23 ნოემბერს, მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს აღნიშნავს. გიორგობა წელიწადში ორჯერ აღინიშნება, 6 მაისს ეკლესია წმინდანის აღსრულების დღეს აღნიშნავს, 23 ნოემბერს კი – ბორბალზე წამების დღეს. დღევანდელ დღეს, გიორგობა მხოლოდ საქართველოში აღინიშნება.

წმინდა გიორგის თაყვანისცემა საქართველოში მე-4 საუკუნის დასაწყისში იწყება. ძველი დროიდანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გეორგიას უწოდებენ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონის ცნობით, წმინდა გიორგი კაბადოკიელი მესხი იყო. სავარაუდოა, რომ პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე, ბოლბუში წმინდა ნინოს თაოსნობით აიგო. (ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა). საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე უამრავი ტაძარია აგებული. წმინდა გიორგი მხედრთა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად ითვლება. ასევე, მას ევედრებიან დემონური ძალებისგან გამოხსნას. წმინდა გიორგი ქართველთა მფარველად ითვლება. უფლის განგებით, ქართველი ერის მფარველობა მას დაეკისრა. სწორედ ამიტომ, წმინდა გიორგის იაკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ უძღვეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო.“

„გამოჯანმრთლებული ადამიანების ზრდის კუთხით კოვიდითურ დინამიკას პინარჩუნებით“

20 ნოემბერს, 24 საათის განმავლობაში გამოვლენილია „CO-VID 19“ ვირუსით ინფიცირების 3 768 ახალი დადასტურებული შემთხვევა, გამოჯანმრთელდა 4 055 პირი

21 ნოემბრის მდგომარეობით, ბოლო 24 საათის განმავლობაში გამოვლენილია ვირუსით ინფიცირების 3 768 ახალი დადასტურებული შემთხვევა, ამის შესახებ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული საოპერაციო შტაბის უფროსის მოადგილემ, ბერდია სიჭინავამ, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მა კორონავირუსთან დაკავშირებით არსებულ უახლეს სტატისტიკურ მონაცემებზე ისაუბრა.

„დღეის მდგომარეობით, ბოლო 24 საათის განმავლობაში გამოვლენილია ვირუსით ინფიცირების 3 768 ახალი დადასტურებული შემთხვევა. ქვეყანაში „COVID 19“-ის პანდემიის გავრცელებიდან დღემდე გამოვლენილი დადასტურებული შემთხვევების საერთო რაოდენობა შეადგენს 96 860-ს.

გამოჯანმრთლებული ადამიანების ზრდის კუთხით დღეის მდგომარეობითაც ვინარჩუნებთ პოზიტიურ დინამიკას. კერძოდ, ბოლო 24 საათში გამოჯანმრთელდა 4 055 პირი, ხოლო ჯამში გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა გაიზარდა 77 932-მდე.

სამწუხაროდ, უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში გვაქვს კორონავირუსით გარდაცვალების 41 ახალი შემთხვევა. მათ შორის, თბილისში - 19, აჭარაში - 5, იმერეთში - 12, ქვემო ქართლში - 2, ხოლო მცხეთა-მთიანეთში - 3 ადამიანი.

2020 წლის 26 თებერვლიდან დღემდე სულ გვაქვს 894 გარდაცვალების შემთხვევა.

დღეს გამოვლენილი ინფიცირების 3 768 ახალი შემთხვევიდან, დედაქალაქისა და რეგიონების მიხედვით მაჩვენებლები გამოიყურება შემდეგი სახით: თბილისში გამოვლენილია 1 443 შემთხვევა, აჭარაში - 676, იმერეთში - 541, ქვემო ქართლში - 183, შიდა ქართლში - 165, გურიაში - 52, სამეგრელო - ზემო სვანეთში - 363, კახეთში - 130, მცხეთა-მთიანეთში - 96, სამცხე-ჯავახეთში - 95, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 24.

ამ ეტაპზე ინფიცირების მიმდინარე აქტიური შემთხვევა



არის 18 008. მათ შორის 5 879 ადამიანი მკურნალობს საავადმყოფოში, მათ შორის, თბილისის საავადმყოფოებში - 2 702, აჭარაში - 942, იმერეთში - 1 179.

ამ ეტაპზე მძიმე პაციენტია 838 პირი, მათ შორის, თბილისში - 420, აჭარაში - 135, იმერეთში - 169. მათ შორის ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იმყოფება 410 პირი, მათგან თბილისში - 202, აჭარაში - 118, იმერეთში - 26.

3 411 ადამიანი მოთავსებულია კოვიდ-სასტუმროში, მათ შორის 1 123 - თბილისში, 1 646 - აჭარაში, 336 - იმერეთში. 8 718 პირი ვირუსის მკურნალობს კურსს გადის საცხოვრებელ ბინაზე.

საკარანტინო სივრცეებში მოთავსებულია 2 226 ადამიანი, მათ შორის, თბილისში - 426, აჭარაში - 1 122, ხოლო იმერეთში - 26.

სულ 6 ოქტომბრიდან - 19 ნოემბრის პერიოდში, სახელმწიფო საზღვრიდან საკარანტინო სივრცეებში გადაყვანილია - 16 564 პირი.

ამ ეტაპისთვის თვითიზო-

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთიერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეჯი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონი»

ივანიშვილი: ვფიქრობ, სალი აზრი აქვს და ჩვენ ჭეშმარიტად მრავალპარტიულ პარლამენტს მივიღებთ



ლობა, რაც მისასაღებელია. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია კი, ზედმეტად გადაჭარბებული ემოციით და ამბიციურად აფიქსირებს პოზიციას. მე ვფიქრობ, რომ სალი აზრი აქვს და ჩვენ ჭეშმარიტად მრავალპარტიულ პარლამენტს მივიღებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება“- განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა

21 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ბიძინა ივანიშვილმა** მთავმინდა-კრწანისის მეოთხე საარჩევნო უბანზე საკუთარი არჩევანი დააფიქსირა. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ივანიშვილმა აღნიშნა, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ზედმეტად ემოციურად, გადაჭარბებულად, ამბიციურად აფიქსირებს პოზიციებს. ამასთან, ივანიშვილი აღნიშნავს, რომ სალი აზრი აქვს და ქვეყანა მრავალპარტიულ წარმომადგენლობით პარლამენტს მიიღებს. ივანიშვილმა ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა 31 ოქტომბერს გამოჩენილი პასუხისმგებლობისთვის. „შევახსენებთ, რომ ყველა ქვეყანამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდა. შედეგად მივიღეთ პარლამენტში 9 პარტიის წარმომადგენ-

ოზურგეთის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა



ოზურგეთის საკრებულოს ბიურომ, რომელსაც დავით დარჩია უძღვევდა 16 საკითხი განიხილეს. დამტკიცდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი. საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებში განხილვის შემდეგ, საკრებულო იმსჯელებს: მერიის მიერ ინიცირებულ საპრეზიდენტო ნუსხასა და გვერდის დამტკიცების თაობაზე; მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგებლის ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; მერიის მიერ წარმოდგენილ 2020-2021 წლებში საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ; რამდენიმე ქუჩის სახელების შესახებ განკარგულების პროექტებსა და დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე. საკრებულო ამ საკითხების პრა-

ღველურად იწყებს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას, რომელიც მერიამ უკვე წარმოადგინა. 18 ნოემბრიდან-25 ნოემბრის ჩათვლით საკრებულოს ყველა მუდმივმოქმედი კომისია და ფრაქცია მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს დეტალურად განიხილავს და აღმასრულებელ ორგანოს თავის წინადადებას, რეკომენდაციებსა და შენიშვნებს დასკვნების სახით წარუდგენს. საკრებულოს სხდომა 25 ნოემბერს გაიმართება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა მიმდინარეობს

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე სხდომები დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მიმდინარეობს. ამჯერად, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი ფრაქციებმა ერთობლივ სხდომაზე, დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში განიხილეს. საკრებულოს წევრებს მიესალმა და საბიუჯეტო პროცესში, სრული რეკომენდაციების გათვალისწინებით, აქტიურად ჩართვისკენ მოუწოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით

დარჩიამ. დეპუტატების შეკითხვებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლებმა უპასუხეს. 2021 წლის ბიუჯეტს პროექტი იხილეთ <http://ozurgeti.mun.gov.ge/?p=4672> დაინტერესებულმა პირებმა, წინადადებებითა და რეკომენდაციებით ბიუჯეტის პროექტის თაობაზე მოგვამართეთ ელექტრონულად ozurgeti.sakrebulo@gmail.com ან info@oz.gov.ge

გომისმთაზე სამუშაო მასალებს უზიდებიან



კურორტ გომისმთაზე სამშენებლო მასალებს დამით ეზიდებიან - ამის შესახებ თვითმხილველებმა გაზეთ „ალიონს“ აცნობეს. - იცით, გაზაფხულიდან შსს და მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს ბუფუჰესთან პიკეტი ჰქონდათ მოწყობილი და კურორტზე მიმავალ ყველა მანქანას ამოწმებდნენ, მაგრამ ახლა მთაში გათოვდა და შესაბამისად ყურადღება მოაღწუნეს. დამით მაღალი გამავლობის ავტომანქანებით გომისმთაზე სამშენებლო მასალები გადააქეთ... გარდა იმისა, რომ კურორტზე მშენებლობა

შეჩერებულია (ყველასთვის არა), ასეთ თოვლში იქ სატვირთო ტრანსპორტით ასვლა სარისკოა - გვითხრეს მათ.

პირტუალური სემინარი ოზურგეთში

14 და 15 ნოემბერს ქ. ოზურგეთში გაიმართა ორდღიანი ვირტუალური სემინარი, რომელიც მხნად იხსნა გურიის რეგიონის მსმბაბთი მეწარმე, მცირე და საშუალო ბიზნესში, ასევე შემოქმედებით ინდუსტრიაში მოღვაწე ქალბატონის ცოდნის გაღრმავებას თვალსაზრისით. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, საზოგადოების და განსაკუთრებით ქალთა ჩართულობის მნიშვნელობა აღნიშნულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში; თავდაცვა და უსაფრთხოება; საქართველოს მონაწილეობა სავაჭრო სავაჭრო სავაჭრო სამშვიდობო მისიებში; ნატოში გაწევრიანების ეკონომიკური სარგებელი; ნატო შვედეთში. ორდღიანი სემინარის განმავლობაში გურიის რეგიონის ქალებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ მაღალი რანგის სპეციალისტებს, სახელმწიფო სტრუქტურის, ნატოს და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებს და მოწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტებს. დარგის ექსპერტების აზრით, „სახლი წევრებისთვის ნატოში გაწევრიანება იწყებს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უფრო მეტ შესაძლებლობებს. ნატოს და ევროკავშირში გაწევრიანება, ასევე ხელს უწყობს ეკონომიკის

გაუმჯობესებას, ეხმარება სახელმწიფო უსაფრთხოებას და ეკონომიკურ სტაბილურობას, რომელიც თავის მხრივ პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მიზიდვის საფუძველს წარმოადგენს. მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა შეუძლებელი იქნება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გარეშე. ამიტომ, სემინარი მიუძღვნა ქალთა გაძლიერების ხელშეწყობას, მათი ცოდნისა და სფეროს გაფართოებას. სემინარის ბოლოს მონაწილეებმა უკეთესად გააცნობიერეს ევროკავშირისა და ნატოს როლი და მნიშვნელობა. ასევე, სემინარის განმავლობაში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაციის მოწინავე ქვეყნიდან ნატოში გაწევრიანების შედეგად მიღებული სარგებლის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ; შეისწავლეს ევროკავშირისა და ნატოს სტრუქტურა და ფუნქციონირება და გაეცნენ როგორ მოქმედებს ეს ინსტიტუტები მათ ბიზნესსა და პირად ცხოვრებაზე. პროექტის მხარს უჭერს ნატოს სახალხო დიპლომატიის სამართლებრივი და ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგიონი და საზოგადოება“ გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან პარტნიორობით.

ცხემლისხილში, ღვაბაზუსა და შვიდიოზურში წყლის ახალი სისტემა აშენდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ცხემლისხილში, ღვაბაზუსა და შვიდიოზურში წყლის სისტემების მშენებლობას 12 მილიონი მიხმარდება. წყალმომარაგების კომპანიის მიზნების მუნიციპალიტეტის სოფლებში - ცხემლისხილის, ღვაბაზუსა და შვიდიოზურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში მონაწილეობის მსურველები, წინადადებების წარდგენას 22 - დან 27 ნოემბრის ჩათვლით შეძლებენ. სამუშაოების ღირებულება 12 მილიონ ლარზე მეტია.

გამარჯვებულმა კომპანიამ, პროექტი 24 თვეში უნდა დაასრულოს. აღნიშნულ სოფლებში წყლის ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია. არსებული სატუმბო სადგური და რეზერვუარი არ ფუნქციონირებს. გამოდინარე აქედან, მოსახლეობა სასმელ წყალს ინდივიდუალური ჭებისა და მცირე წყაროების მეშვეობით იღებს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სათავე ნაგებობები და რეზერვუარები სევე, გამრიცხველიანდებ ამოსახლეობა. სამუშაოების შედეგად, აღნიშნული სოფლების მოსახლეობა, ჯამში 1 800 ადამიანზე მეტი 24 საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით შეძლებს სარგებლობას.

თანაგრძნობა
გოჩა ჯაში ოჯახით თანაგრძნობს რომან ჩიჩუას საყვარელი შვილის **ზვიადის** გარდაცვალების გამო.

„გამოჯანმრთელებული ადამიანების ზრდის კუთხით კოვიდით დინამიკას პინარჩუნებთ“

ლაგიაში იმყოფება 51 300 ადამიანი, მათ შორის თბილისში - 14 276 პირი, აჭარაში - 16 379, იმერეთში - 5 224“- განაცხადა ბერდიანი სიჭინავამ. თუ რა დამატებით რეკომენდაციას სთავაზობს ეპიდემიოლოგები მოსახლეობას ამაზე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გურიის განყოფილების უფროსს არჩილ მჭავიას ვესაუბრეთ:

-19 ნოემბრის მდგომარეობით, კოვიდ-ინფიცირებულთა დღიური მაჩვენებელი 3500-ს გასცდა, 10-0,000 მოსახლეზე 14 დღის მაჩვენებელი კი - 944-ს; ბოლო 7 დღეში საქართველო მე-16 ადგილზეა მსოფლიოში 100 ათას მოსახლესთან შეფარდებით გარდაცვლილთა საშუალო რაოდენობით. დღი-

ური შემთხვევების რაოდენობა მზარდია, შესაბამისად არა არის გამოცხადებული დღიურად ჩატარებული ტესტების რაოდენობის გაზრდასთან ერთად. რაც უახლოეს მომავალში იგეგმება. „COVID 19“ კლინიკურად გამოვლენილი შემთხვევების გათვალისწინებით, რეალური რაოდენობა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე ეს დადასტურებულია ლაბორატორიული კვლევით და ოფიციალურად სტატისტიკაში გვაქვს.

ჩემი, როგორც ეპიდემიოლოგის დამატებითი რეკომენდაცია მოსახლეობისადმი იქნება ის, რომ ახალ წლამდე ყველა სახის კერძოწვეულებაზე დასწრებისგან შევიკავოთ თავი.

ამასთან, ოჯახებმა თავიანთ სახლებში სტუმრების მიღება უნდა

შეზღუდონ, ასევე თავი შევიკავოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოხვედრაზე. ვატაროთ ნიღბები არა მარტო დახურულ სივრცეებში არამედ ყველგან. ამასთან, ყველა ის ადამიანი, ვისაც ჩვეულებრივი გრიპის თუნდაც მსუბუქი სიმპტომი აღენიშნება, ვალდებული უნდა იყოს, იზოლაციაში გადავიდეს - განაცხადა არჩილ მჭავიამ.

22 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოში 33 ადამიანი გარდაიცვალა, საიდანაც 17 შემთხვევა თბილისში დაფიქსირდა, 5-აჭარაში, 8-იმერეთში, თითო შემთხვევა სამეგრელო-ზემო სვანეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-თიანეთში.

26 თებერვლიდან 23 ნოემბრამდე „COVID 19“-ით გარდაცვლილთა რიცხვი 987-მდე გაიზარდა.



მქსპერტი: კოვიდინფექცია ისე გავრცელდა, უესაძლოა, ქვეყნის სტაბილურობაზეც იმოქმედოს

გაეროს გენერალური მდივნის, ვაქცინებისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსის მრჩეველი, ექსპერტი პროფესორი გიორგი ფხაკაძე ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიასა და კოვიდინფექციების გავრცელების შემთხვევებზე საუბრობს.



„მოწოდება მარტივია, ჩვენ უკვე გადავლახეთ რამდენიმე წითელი ხაზი. აქ საუბარია იმაზე, რა შეიძლება გაკეთდეს, ერთმანეთს გვერდით უნდა დავუდგეთ ყველა მიმართულებით, იქნება ეს ეკონომიკა, ჯანდაცვა თუ უსაფრთხოება. ისე გავრცელდა ვირუსი, რომ შეიძლება ქვეყნის სტაბილურობაზეც იმოქმედოს. შესაბამისად, ალბათ კარგი იქნება, რომ ჩვენ ერთმანეთს დავეხმაროთ“, - აღნიშნა ექსპერტმა.

ეული პერიოდი, ძალიან მცირე რაოდენობა გვექნებოდა ვირუსის გავრცელებისა და სიკვდილიანობის. - სამწუხაროდ ჩვენ გაგვეპარა ეს, ქვეყანაში კლასტრები აღარ არის, აღარ გვყავს კლასტრები ქვეყანაში, უკვე უნდა ვებრძოლოთ ეპიდემიას. სამწუხაროდ ის წერტილოვანი შეზღუდვები ეფექტური აღარ არის“, - განაცხადა ფხაკაძემ.

ინფორმაციისთვის, საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა 26 თებერვალს დადასტურდა. 26 თებერვლიდან 20 ნოემბრის ჩათვლით გამოვლენილია კოვიდინფექციების 96 860 შემთხვევა, მათგან გამოჯანმრთელებულია 77 932, ხოლო 894 პირი ვირუსს ემსხვერპლა.

მქსპერტი: კოვიდინფექცია ისე გავრცელდა, უესაძლოა, ქვეყნის სტაბილურობაზეც იმოქმედოს

მოქალაქეებს ახალი საინფორმაციო პორტალის საშუალებით შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია, ოჯახის ექიმის ვინაობისა და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების შესახებ <http://ambulatoria.moh.gov.ge/>

ოჯახის ექიმის/სამედიცინო დახმარებასთვის საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად

ახალი საინფორმაციო პორტალი ამოქმედდა

AMBULATORIA.MOH.GOV.GE

ბენეფიციარი და არც კერძო დაზღვევით სარგებლობს, ან არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი, მაგრამ არცერთ სამედიცინო დაწესებულებაში არ არის დარეგისტრირებული, უნდა დაუკავშირდეს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს: 1505

საინფორმაციო პორტალის ამოქმედების მიზანი, 112-ში განხორციელებული ზარების შემცირება

და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა.

ოჯახის ექიმის/სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ საინფორმაციო პორტალს: <http://ambulatoria.moh.gov.ge/> ან დაუკავშირდით ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს: 1505

№ ჯანდაცვა 2020 #Stop-Cov

კორონავირუსის ეკონომიკური შედეგები

ეკონომისტების განცხადებით, ვირუსის მიმდინარე გავრცელების შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ზარალი მართვადია და შემდგომი მნიშვნელოვანი გავრცელების თავიდან აცილების შემთხვევაში არ გამოიწვევს მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან შესუსტებას. მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად 20-09 წელს 11 პანდემიის შედეგს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.5 პროცენტის კლება წარმოადგენდა, თუმცა კორონავირუსის მასშტაბურ გავრცელებას მსოფლიო ეკონომიკის 5 პროცენტის შემცირება შეიძლება მოყვას.



ეკონომიკური ზარალი არა თავდა ვირუსის, არამედ უფრო მისი გავრცელების პრევენციული ღონისძიებებიდან მომდინარეობს. თუმცა იგი გავლენას ახდენს მომხმარებლების და სახელმწიფოების გადაწყვეტილებებზე. ადამიანები ცდილობენ თავი არიდონ მოგზაურობას, ვაჭრობას, რაც საბოლოო ჯამში მოთხოვნის კლებას იწვევს. ხოლო კომპანიების გადაწყვეტილებები შეაჩერონ საწარმოო პროცესი, აფერხებს მიწოდებას. ვირუსის გავრცელების არეალის ზრდის პარალელურად მოთხოვნისა და მიწოდების შეზღუდვა შესაძლოა მნიშვნელოვან პრობლემად იქცეს მსოფლიო ეკონომიკური ზრდისთვის. ვირუსის გავრცელების საფრთხის გამო უამრავი ადამიანი ან კომპანია თავს იკავებს ჩინეთში ან რისკის შემცველ სხვა ქვეყანაში ვიზიტისა და ეკონომიკური აქტივობის განხორციელებისგან. რამდენიმე ავიაკომპანიამ შეწყვიტა ფრენები ჩინეთის მიმართულებით, საერთაშორისო სასტუმროების ქსელები კი მომხმარებლების მიერ გადახდილი საფასურის დაბრუნებას ახორციელებენ.

რეზე. ჩინეთის და პონგ-კონგის ფინანსური ბაზრები შესაბამისად, 8 და 5 პროცენტით დაეცა. გავლენა შეეხო სასაქონლო ბაზრებსაც, მოგესხნებათ ჩინეთი ნავთობპროდუქტების უმსხვილესი იმპორტიორია. 2020 წლის პირველ კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ნავთობზე მოთხოვნის კლება მოსალოდნელი რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ნავთობზე მოთხოვნის კვარტალური მაჩვენებლის შემცირების პირველი შემთხვევაა.

ჩინეთში არსებული ავტომწარმოებლები იძულებულნი იქნებიან 2020 წლის პირველ კვარტალში 15 პროცენტით შეამცირონ წარმოება. დაზარალებულნი ფუფუნების საგნების რეალიზატორები, რომლებიც ჩინეთის მაღალშემოსავლიანი ფენაზე მუშაობდნენ. მაგალითად, ბრიტანულმა კომპანია რიტისკ ბრანდ ურბერე ჩინეთში განთავსებული მისი 64 ფილიალიდან 24 დახურა.

ვირუსის საბოლოო ეკონომიკური შედეგებთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთება ნაადრევია, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ჩინეთის ხელისუფლების მცდელობაზე გაუმკლავდეს ვირუსს და შეაფერხოს მისი გავრცელება. მაგრამ მსოფლიო ეკონომიკაზე მიმდინარე და მოსალოდნელი გავლენის პირველადი შეფასებები უკვე კეთდება. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს ბრიტანული საკონსულტაციო კომპანიის - **Oxford Economics**-ის კვლევა, რომლის თანახმადაც ჩინეთის ეკონომიკური ზრდა 2020 წლის პირველ კვარტალში 4 პროცენტზე ნაკლები იქნება. სრული წლისთვის კი ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5 პროცენტის ფარგლებშია. აღნიშნული მაჩვენებელი წარმოადგენს ყველაზე დაბალს გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ.

ლანჩხუთის „გურიას“ ქალ ფეხბურთელთა გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ მტავრე ბაჰიდა



ალიონი. დიდ წარმატებას მიაღწია ლანჩხუთის „გურიას“ ქალ ფეხბურთელთა გუნდმა. 19 ნოემბერს ისინი რუმინეთში, კლუჟში ადგილობრივ „ოლიმპიას“ შეხვდნენ და ანგარიშით 1:0 დაამარცხეს. 68-ე წუთზე გოლოს ავტორი ამ მატჩის მთავარი გმირი ხატია ჭყონია იყო.

ამ გამარჯვებით ლანჩხუთელები ევროპის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა.

ამ დრამატულ მატჩში პირველ ტაიმის 34-ე მარაბ კალანდაძის მიერ გატანილი ერთი გოლი მსაჯ-

მა სადავო თამაშგარეს მოტივით არ ჩათვალა, ხოლო ხატია ჭყონიას დარტყმა ძელმა მოიგერია.

ლანჩხუთის „გურიას“ ქალ ფეხბურთელთა გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა.

„ლანჩხუთი კვლავ ფეხბურთით ვეცევა ყურადღების ცენტრში — ეს ქალაქი და ეს გუნდი მეტ ყურადღებას იმსახურებენ! „ლანჩხუთი“ მაგალითია, როგორ შეიძლება ფინანსების გარეშე, მაგრამ შემართებით, იყო წარმატებული. გოგონებმა, ჯერ კიდევ ყაზახ-

ური ბარიერის გადალახვის შემდეგ, მწარედ იხუმრეს - მაინც და მაინც „ბარსელონას“ უნდა მოვუგოთ, ხელფასი რომ მოგვცეთო! ეგ კი არა, რუმინეთში გამგზავრების წინ, მოთამაშეებს ელემენტარული ყოველდღიური საჭიროების ნივთების შესაძენი ფულიც არ ჰქონდათ. გუნდისთვის გამოყოფილი მცირე დაფინანსება დიდი ხნის წინ ამიწურა და მიუხედავად იმისა, რომ თვებია გუნდში ხელფასი არ აუღიათ, გოგონები სასწაულებს ახდენენ. ამიტომაც კიდევ მეტად დასაფასებელია მათი ეს გამარჯვება...

მადლობა „ლანჩხუთის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს ამ სიხარულისთვის!

მადლობა მათ მთავარ მოამაგეს, დურმიშხან ჩხაიძეს - ბოლომდე რომ იბრძოლა და ურთულეს ვითარებაშიც კი ფარხმალი არ დაყარა, დიდი მზრუნველობით შეიფარა გუნდი! —წერს სალომე ზურაბიშვილი თავის პოსტში.

ლანჩხუთელ გოგონებს წარმატება პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ მიულოცა.

იგი ამის შესახებ სოციალურ

ქსელში პოსტს აქვეყნებს: „ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბი ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს! მათ, რუმინეთში ადგილობრივი „ოლიმპია კლუბი“ დამარცხეს და მომდევნო ეტაპზე გადავიდნენ. ვულოცავ ჩვენს სამაყო სპორტსმენებს შთამბეჭდავ გამარჯვებას!“

ლანჩხუთელებს წარმატება მიულოცა ქალაქ თბილისის მერმა, კახა კალაძემ.



ნიწო - ნიწოს მფარველი აწბელოზი

იმ წყვილებს, ვინც ჯერ კიდევ ელოდებით თქვენი ოცნების წმროს, ბირჩვეთ თბილისში, დილოში, „იმედის“ კლინიკაში მიმართოთ მძიმ ნიწო სამხარაქმს



ვიქტორ ჰიუგოს უთქვამს: „საეჭვოა, დედამიწის ზურგზე იყოს იმ გრძნობებზე მეტად სასიხარულო რამ, რომლებიც დედას უწნდება თავისი შვილის პაწაწინა ფეხსაცმლის დანახვაზე“. ვიქტორ ჰიუგო.

ეს კიდევ არაფერი, ძვირფასო მკითხველო.ჩემი აზრით, როდესაც უფალი მდებრობით სქესად ჩაფიქრებს და მოგავლენს ამ ქვეყნად, იქედან დედა ხარ პოტენციურად. დედა-შვილობანასაც ხომ შემთხვევით არ ვთამაშობთ? დიახ, ქალი დაბადებიდან დედაა დედამიწაზე დედასამყაროსგან დედაკაცად კანონზომიერად ჩაფიქრებული.

პათეტიკიდან გადავხვევ და

ჩემს ამბავს მოგიყვები მკითხველო, იქნებ ჩემი თავგადასავალი, თქვენივის ერთგვარი სტიმული აღმოჩნდეს. მოკლედ, სოლიდურ ასაკში შევხვდი ჩემი ცხოვრების მეორე ნახევარს, ქარიშხალივით მოვარდნილმა გრძნობამ არ დააყოვნა და გვიბიძგა, შეგვექმნა ოჯახი.ასეც მოვიქცეით და დაიწყო ბედნიერი დღეების ათვლა ჩვენი ერთობლივი ცხოვრების კალენდარზე...2 წლის წინ, ზაფხულს, გავიგეთ, რომ პაწიას ველოდებით...ღმერთო ჩემო, ჩემი შემოქმედებითი ბუნება მეტად ზეციური, კოსმიური, ფერადი გახდა და ლექსებსაც დაეჭყო ეს

„იცი, მე ვარსკვლავს მოგი-

წვევტ ციდან, უკვდავების წყალს შევასმევ პეშვით, შენ სამყარო ხარ, სულ ერთი ციდა, დედის მუცელში და ღმერთის ხელში“...

აი, ასე ვესაუბრებოდი მუცლადმყოფ არსებას რამდენიმე კვირის განმავლობაში, სანამ არ გავიგე, რომ მისი გულიარ ფეთქავს... აღარ....ცა ჩამოიქცა, მიწა გასკდა, მეხი გავარდა...არ მასსოვს არაფერი, ვიცი, რომ არაადეკვატური ვიყავი და მთელ სამყაროზე გაბრაზებული, ღმერთზეც კი...მე მას ვუთხარი, ვუსაყვედურე, რომ არ მიხდა მასთან მეგობრობა, რადგან სასტიკია ის...რას არ იტყვის გამწარებული დედა?..

დადგა დრო, როცა მუცელი უნდა გაგისუფთაონ შენი შვილის ნარჩენებისგან და მე და ჩემი მეუღლე წავყვით ბათუმიდან თბილისს გარდაუვალი მისიით. ჩაკვლით იმედის კლინიკაში, მივაკითხეთ ახალგაზრდა ლამაზ, ჭკვიან, პოზიტიურ ექიმს ნინო სამხარაძეს და დავასრულეთ საქმე...ამ დღეს ყველაფერი მიკვირდა.ნებაყოფლობით აბორტის მსურველი წყვილებით დაწყებული გულგრილად რუტინულად აბორტის გამკეთებელი ექიმის სახეებით და ემოციებით დამთავრებული. და კიდევ იქ აღმოვაჩინე, რომ

შურიანიც ვყოფილვარ, უფრო სწორად ეგოისტი, არ ვიცი, უცნაური გრძნობა დამეუფლა, როდესაც ვუცქერდი ქალებს ბავშვებით ხელში და მე ცარიელი მუცლით და სულით ვბრუნდებოდი შინ... მომიტევე უფალო. მთავარი, რატომაც დავიწყე თხრობა ესაა მადლიერება, მადლიერება კონკრეტული ექიმის მიმართ.

ამბავი ,რომელიც იქ დასრულდა, დაიწყო იქვე...ნინო ექიმთან გასაუბრების შემდეგ, იმედის ნაპერწკალი ჩავარდა ჩემს სულში, დალილს ეჭვებით და იმედგაცრუებულს , ნახევრად მესმოდა მისი საუბარი, მაგრამ სარწმუნო მეჩვენა იქვე, რადგან, მისგან კომპეტენცია , ცოდნა, სიბოლო, პოზიტივი მოდიოდა.მე და ჩემი მეუღლე დამედებული და ოდნავ დამშვიდებული დავბრუნდით ბათუმს. ხაზი მინდა გავუსვა ერთ რამეს, სანამ ნინო ექიმთან მოვიდოდით, ჩვენ დავგემილად დავიწყეთ ცხოვრება და შესაბამისად ექიმები უცხო არ იყო ჩვენთვის, მაგრამ ბოდიშის მოხდით, არც ერთი მათგანი არ გამოირჩეოდა პაციენტისადმი მსგავსი დამოკიდებულებით და ოჯახის სწორი დავგემარებით, რაც 21-ე საუკუნემ სწორად მოიტანა.

ნინო ექიმმა სწორი მკურნალობით, სწორი და ზუსტი ანამნეზის შეკრებით ზუსტად 1 წელიწადში მოიყვანა სასურველი

ორსულობა და მთელი 9 თვე, ფაქტია, სწორად მართა...მოსაბეზრებელი რომ არ ვიყო, კონკრეტუკას არ მოყვებო. ძვირფასებო, ექიმს როდესაც ირჩევთ, უნდა მიჰყვეთ ინტუიციას, მას არ უნდა დაეზაროს უწყვეტ რეჟიმში გესაუბროთ, გირჩიოთ, იცოდეს თქვენი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და „ენახოთ“ უნდა იყოს „ყველაფერი გამოვა“...ჩემი ნიწო ექიმი ასეთი იყო ბოლომდე და დღეს 6 დღე გავიდა, რაც უსაფრთხოდ მამშობიარა და მაჩუქა პატარა ნიწო, რომელიც მისი პატივისცემით დავარქვი...ნინო ნიწოს მფარველი აწბელოზია, ის მისი წეროა, რომელიც სასწაულე ბრვიად ჩავვისვა მის მიერ მოქსოვილ რწმენის და ნდობის კალათში. დღეს ბედნიერების ცრემლებით დანამული თვალებიდან და გულიდან გეტყვით და გირჩევთ, იმ წყვილებს, ვინც ჯერ კიდევ ელოდებით თქვენი ოცნების წმროს, რომ თბილისში, დილოში „იმედის კლინიკაში არის ერთი ლამაზ-თვალეუბა ,კოხტა ,ლიმილიანი ექიმი ნიწო სამხარაძე, რომელიც საქმით დავიმტკიცებთ მის შესაძლებლობებს.ყვიქრობ, ასეთ ექიმებს, რეკლამა არ ესაჭიროებათ.ეს თვითმიზანი არ ყოფილა.უბრალოდ მადლობა მინდოდა საჯაროდ გამომეხატა მისთვის.

სოფიო ღლონტი,
პოეტი

ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე



10 თვეზე მეტია, რაც გაზეთ „ალიონში“ (№5, 3 თებერვალი, 2020 წელი) სათაურით „ჩარჩობაში ჩასული პორტრეტები“ გამოქვეყნდა წერილი ოზურგეთში მოღვაწე სამართალდამცავთა კორიფეებზე – ვახტანგ ჩხიკვიშვილსა და ენვერ გოგუაძეზე. მას შემდეგ ხსენებულ პუბლიკაციას სარეკორდო რაოდენობის გამოხმაურება მოჰყვა. ბატონი ვახტანგისა და ბატონი ენვერის, მათი ღირსეული კოლეგების დედაწლი რომ არ იკარგება, – ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ თაობიდან თაობას რომ უნდა გადაეცეს, – ესეც აუცილებელია. ამ თვალსაზრისით დიდებულ საქმეს შესწავლა იმპაინდელი ეპოქის თვითმზილველი და კარგად მცოდნე, ბატონი ენვერის ვაჟი მამუკა გოგუაძე, რომელსაც ერთ მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებად უქცევია მამისდროინდელი კრიმინალური ქრონიკები.

როგორც ავტორმა ვითხრა, ნაწარმოები ფაქტობრივად დამთავრებულია, დარჩა მხოლოდ ტექნიკური საკითხები. დიდი მადლობა ბატონ მამუკას, რომ „ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკის“ (სათაური პირობითია) წიგნად გამოცემაზე ექსკლუზიური უფლება მოგვცა მის გამოქვეყნებაზე.

უჩვეულოდ დიდი თოვლი მოვიდა გურიაში. ახლაც თოვს, ლამაზად იბარდნება არეშარე, ბუნებრივად კვამლი ამოდის, დიასახლისები სადილს ამზადებენ, მამაკაცები სახლებს თოლავენ, ერთმანეთს ეხმარებიან, სახურავებიდან ჩამოსვლებს თითო ბოთლი ადებსა და „მისაყოლებელი“ ელოდებათ. ასე გრძელდება რამდენიმე დღე. მოხუკები, მარტონხელები, ქვრივები... – მათი სახლებიც ხომ მისახლება. საქმე აქეთ ხალხს, სამადლო საქმე – ერთმანეთს უშურველად ეხმარებიან, ავიწყდებათ ის წყნაც (დროებით მაინც), რომელიც თოვლის მოსვლამდე ჰქონდათ. თოვლი კი, როგორც უსუფთავესი ციური ნალექი, დროის დროს წაიღებს და წყალს გაყოფს მებრუნების ურთიერთწყენას. საოცარია, თითქმის ორ მეტრამდე თოვლის პირობებში სამანქანო გზა სულ გაწმენდილია, ოცდაოთხი საათის განმავლობაში გუგუნებს ტრაქტორი, ელექტროენერგია წუთითაც არ გამოთულა, მორიგეობენ სოფლის კაცები და ჭოკებით თოვლს ბერტყავენ მავთლებიდან. პურის საცხობში კი ფშალაზე მოხედილი გამოძვვარი პურის სურნელი ტრიალებს. მორიგეებს უფასოდ აძლევს პურს მეფურნე, საცხობიც ხომ დასათოლია. ჩიტები ხეებზე შეყუყუ-ლან, ზოგი მზრუნველობს და საკენკს უყრის, ზოგი კი ნადირობს მათზე და ჩახობილით უმასპინძლებს მებრუნებებს.

მოკლედ, იდეალური ზამთარია, მოახლოებული საგზაფხულო სამუშაოების წინ სასურველი სიტუაციაა, მითუმეტეს, როცა პირუტყვისთვის მომარაგებული გაქვს საკვები, დაკლული გვყავს საკალანდო ღორი და ნალია სიმინდით არის სავსე. თითქმის ერთი თვეა, გადაუღებლად თოვს, ჰაერთან ერთად, ფილტვებიც იწმინდება, გუეფლება გრძნობა, რომ გაზაფხულზე ახალ სიცოცხლეს დაიწყებ.

კი, გარეგნულად ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მაინც არ უნდა მოადუნო ყურადღება იმაზე, რომ ეს იდილია შეიძლება ვინმემ დაარღვიოს და გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით, შრომაში გატარებულ ოჯახს ეს „საზამთრო არდადეგები“ არ ჩაუშვაროს. ამიტომ, განსაკუთრებით ფხიზლობს სოფლის ოპერაწმენებელი, ყველა ოჯახთან მეგობრობს, თითოეულს შეძლებისდაგვარად ეხმარება და ფაქტობრივად ყველას სასურველი სტუმარია. ახლაც სოფლებების გვერდითაა, მონაწილეობს სახლების დათოვლაში, საქმის დამთავრების შემდეგ დალოცავს ოჯახებს, წამოვა, სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში თავისთვის გამოყოფილ საპეიკალურ ოთახში ცეცხლს დაანთებს, ცოტას დაისვენებს და ისევ ფიქრებში წავა. თითქოს სანერვიულო არაფერია, მაგრამ... ეს „მაგრამ“ არ აძლევს მოსვენებას. ამ ერთი თვის განმავლობაში, რაც თავის სამოქმედო უბანზე დადის, ბევრ რამეს აკვირდება. ახლა ზის ღუმელთან, ფიქრებში ჩაძირული, ისევ იღებს ხელში საეჭვო პირების სურათებს – ეს ორი ხალხში არ ჩნდება, მათი სახლი კი მუდმივად ითოვლება, იწმინდება ჰიშკართან მისასვლელი გზაც, გარეთ კი არავინ ჩანს, არადა, საკვამურიდან ბოლი უწყვეტად ამოდის. რა ხდება?! ოვანეს მარტივიანი და გარუნ პოლოსიანი ალალი ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან, სულ რაღაც ექვსი თვის წინ გამოვიდნენ ციხიდან, სადაც სასჯელს ქურდობისთვის იხდიდნენ. ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ სოფელს დაუბრუნდნენ, მაგრამ მუშაობა ჯერაც არ დაუწყიათ. რამდენჯერ მივიდა, დაახელწერილა, რომ მუშაობას დაიწყებდნენ, მაგრამ ხან რას მოიმიზეზებენ და ხან რას. ბოლო დროს ხმაში სიმკაცრეს უმატა ბორისმა, გარუნიც არ ეპუება რეალობას, დაძაბულობა უბნის ინსპექტორსა და მათ შორის. უბნის

ინსპექტორს არ ასვენებს კითხვა – რითი ირჩენენ თავს? ნუთუ ვინმეს სძალავენ ფულს? არის სოფელში რამდენიმე ერთგული კაცი, ვისგანაც იცის, რომ ოვანესი გამოირჩევა განსაკუთრებული სისასტიკით და ყველა გაფრთხილებული ჰყავს, ინფორმაცია არ მივიდეს ინსპექტორამდე... ყველას ეშინია და ჩუმადაა, სახლშიც კი ერიდებიან ამ თემაზე საუბარს. ამ ფიქრებში ჩათვლილს გამოვლივია, უკვე 11 დავწყებულიყო...

– ოვანეს, ოვანეს!
სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.
– გარუნ, გარუნ!
საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა, ჭიშკრამდე მისასვლელი გზა და სახლის სახურავიც თოვლისგან ახალგაწმენდილი ჩანდა. აშკარაა, ცოტათი დაივიანა. უშველებელი ნაგავი გაშვავებით აწყვდებოდა ჭიშკარს. კუკუდამალობანას თამაში უადგილო იყო. გაიღო კარი და გამოვიდა ოვანესი:

– გამარჯობა, უფროსოჯან! იმე-დია სამსახურის საქმეზე არ იქნები მოსული. – უშნოდ გაიღრვივა.
– ვიფიქრე, ავად არიან და მივეხმარეო სახლის დათოვლაში-მეთქი.
– მაღლობ, ბორის ამბაკოვიჩი! ნუ შეწუხებდი, გვეხმარებიან. ამხელა კაცს როგორ შეგაწუხებთ ამ პატარა საქმისთვის, სოფელში ხალხი დაილია? – მოჭრა სალაპარაგო ოვანესმა და სახლში შესვლა დააპირა.

– ოვანეს, იცი, ჩემი ცოლ-შვილი ქალაქში ცხოვრობს, ამ დილით ჩაიცვერ დაველი, იქნებ ერთად დაველით და ცოტა ხანიც დავილაპარაკოთ.
უარის თქმა ომის გამოცხადებას ნიშნავდა, არადა, მილიციელის სახლში შეყვანა უტყულებოდა. ბოლო ხერხს მიმართა:

– ჩაიზე უარს როგორ გეტყვი, ამბაკოვიჩ, მაგრამ ოვანესის მავივრად „სერი“ დაძინებ და სამსახურზე ნუ დამეღობებოდა.

– მოსული, სერი. ძალი კარგად დააბი, არ დამჭარბო.
– როდის იყო, ამბაკოვიჩ, ძალი ძალის ხორცს ჭამდა?
ორივემ გაიცინა. ერთმა დამცი-ნავად, მეორემ სიმწრით...

– სადაა შენი ძმა? – ოთახში შესვლისთანავე ჰკითხა კაპიტანმა.
– ძინავს, უფროსო, ჯერ ადრეა.
– ცეცხლი შენ დაანთე?

– კი.
– სერი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ არ ეტყობა, რომ შენი დანთებულია. ახალი ამდგარი ხარ.
– დაკითხვაზე ვარ, უფროსო?

– არა, კარგია, რომ ცეცხლი ანთია, წყალი მალე აღუდდება.
– ჩაის რომელს მიირთმევ, შავს თუ მწვანეს?
– მწვანეს, გულს უხდება.
– ძალღებს გული გაქვთ?
– ???

– შეხედე ჩემს თითებს, ზონაში დამიბტვიეს შენმა ბრატკებმა. რა ვქნა, ჩვენი შერიგება გამოირცხულია. ჩემი ცხოვრების მიზანი შურისძიებაა. არა, შენ არ შეგეშინდეს, შენ არაფერს მალღურად ვექცევი. ახლა ჩაიზე უარს როგორ გეტყვოდი...

კაპიტანს ინტუიციამ უკარნახა, რომ სერი მასზე ზეგაულების მიზნით საუბრობდა, თავშივე უნდა მიეჩმორებინა იგი.

ჩაი აღუღდა, დადგა დასხმის დრო. სერი არ იძვრის ადგილიდან და საუბრის წამოსაწყებად რაღაც ახალ თემას ხარშავს გონებაში. აშკარაა, არ უნდა ჩაის დასხმა და „ოპერატივნიკის“ მომსახურება თავის სახლში.

იმ წამსვე იგრძნო კაპიტანმა ეს და მშვიდად ელოდებოდა მოვლენის განვითარებას.

– ნალია, ადექი, სტუმარი გვყავს. – რუსულად დაიძახა სერი, – სტუმრები გვყავს პავლოდარიდან, მეგობრებმა გამოგვიგზავნეს. – ამოღებოდა ბოლო.

– გასაგებია. უცოლო ბიჭები ხართ და არაა გასაკვირი, მაგრამ სოფლის ამბავი ხომ იცი, ნუ გამოაჩენ მაინც, ჭორები აგორდება.

– მაგიტომაც არ ვჩანვართ, უფროსო, მე და სელი (გარუნა იგულისხმბა), სოფლის ჭორიკანებმა რომ ზედმეტი არ ილაპარაკონ.

რატომ დაუძალეს მისმა ერთგულებმა ეს ამბავი, სახლს და მისასვლელ გზებს სოფლები წმენდენ, საჭმელ-სასმელიც მაგათ მიაქვთ, რატომ დაუძალეს ქალების ამბავი? რაღაც იმალება ამ ქალების უკან, რა? ამ ფიქრში გართულს წინ ფინჯანი დაუდგადა ჩაი დაუსხა ულამაზესმა რუსმა გოგონამ.

– დილა მშვიდობისა! კარგ აპეტიტს გისურვებთ.

ფინჯანი, ყველი, კარაქი, თაფლი... როგორ ვერ შეამჩნია, როდის გააწყო საუზმე ამ გოგონამ?

– ირინა.
– ბორის ამბაკოვიჩი, მილიციის კაპიტანი.

– მილიციის კაპიტანი?
– დაიხ. ცოტა ხანში მაიორი გავხდები.

– აქ როგორ მოხვდით? – ეშმაკურად ჩაიცინა ირინამ.

– მე ეს სოფელი მამარია და და ყველა ოჯახს ვესტუმრობ. თქვენ როგორ მოხვდით აქ?

– საქართველოში არ ვიყავი ნამყოფი და მეგობრებმა მიჩვიეს აქეთ წამოსვლა. – სიტყვათუნწობდა აშკარად.

– ეს კარგია, რომ მეგობრებმა საქართველოში წამოსვლა გირჩიეს, მაგრამ ამ ზამთარში და ამ სოფელში? – გაიღმა კაპიტანმა.

ბაკურიანში ვაპირებდით წასვლას, მაგრამ ჩავრჩით. არაუშავს, დრო გვაქვს, მოვასწრებთ. თუ რამე დაგჭირდებათ, დამიძახეთ და მოვალ.

– აქეთ გზა როგორ მოაგენი, ირინა? ჯერ პატარა ხარ ასეთი მოგზაურობისთვის. – ანკესი გადააგულა კაპიტანმა და დაელოდა რას იზამდა თვეზი.

– არც ისე პატარა. – მოუჭრა ირინამ.

– ოცი წელი ძალიან პატარა ასეთი მოგზაურობისთვის.

მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, სერი ვერ ხვდებოდა, საით მიჰყავდა საუბარი კაპიტანს, მაგრამ მაინც დააზღვია ირინა და ოთახის დატოვება უბრძანა მას.

– შენ გინდა, თავი დიდად მომიჩვენო, თორემ ოც წელზე მეტის არ იქნები. თუ გინდა, დაენადლევეთ. – გაიღმა და ხელი გაუწოდა კაპიტანმა. გული უგრძობდა, რომ ანკესზე თვეზი აუცილებლად წამოიგებოდა.

რაზე დაენადლევეთ?
– სერიმ თქვას.

– მე არ გირჩევ ძაღლებთან ფლირტს, – გამოსცრა კბილებში სერიმ.
– სერი, თითქმის შეილაღ მერგება, ეს როგორ გაიფიქრე?

– აბა, სირზე არ გკიდა, რამდენი წლისაა ირინა?

– ინტერესის ამბავია, მატყუებს და და არ მინდა, ამ ბავშვმა მომატყუოს.

– თუ მასეა, ერთი ყუთი შამპანური, მისი „ბამბანერკებით“. – ეს ხომ შევაწერე მაინც ამ ძაღლსო,

გულში გაიცინა სერიმ.

– მოსულა, – უთხრა კაპიტანმა და ხელი დაკრეს.

– 28-ის.
– არ შეიძლება.

– პასპორტს მოგიტან. – გადაიკისკისა ირინამ და გავიდა მეორე ოთახში.

ჩაი გაცივდა. კაპიტანმა საათს დახედა, ორი სრულდებოდა და ჯერ არ უსაუზმია. ფინჯანი აიღო, პირველი ყლუპი ვერ მოასწრო, რომ ოთახში სელი გამოჩნდა, საერთო გამარჯობა თქვა და ხელ-პირის დასაბანად გავიდა. რამდენიმე წამში სელის ოთახიდან ირინაზე ლამაზმა გოგონამ შემოანათა, მოლტივით ტანითა და გაშლილი ქერა თმებით.

– ლუბა! – მიესალმა კაპიტანს, რომელმაც მდაბლად დაუკრა თავი.

ოთახში კისკისით შემოსულმა ირინამ გაბადრული სახით კაპიტანს პასპორტი მიაწოდა.

ანკესი გადაყლაპულია. საინტერესოა, ვინ გადაყლაპა – ლიფსიტამ თუ დიდმა თვეზმა? რაში აინტერესებს კაპიტანს ირინას წლოვანება, მთავარია ალელევა არ შეამჩნიონ. მშვიდად გამოართვა პასპორტი და ხმამაღლა წაიკითხა – ვერა ნიკოლოზის ასული პანფილოვა, დაბადებული ქ. როსტოვი, 1928 წელს (გამოდის, რომ 28 წლისაა).

ბავშვობიდან იშვიათი ნიჭი ჰქონდა ციფრების დამახსოვრების, სწრაფად გადაათვალიერა პასპორტის ნომერი, კიდევ ერთხელ წაიკითხა ირინას მონაცემები და გონებაში ჩაიბეჭდა ის ცხრანიშნა რიცხვი. შემდეგ კი, „გაოგნებულმა“ ამოღებდა:

– ნამდვილად არ ჰგავხართ 28 წლის გოგოს, მე ახლაც იმ აზრზე ვრჩები, რომ თქვენ გაცილებით ნაკლები ასაკი შეგეფერებათ. – სერის გახედა, – წავაგე. როდისაა ჩაბარება?

აქ. მონი, ქურდული კანონები არ იმოქმედებს, რომ დღეს, საღამოს 12 საათამდე ჩაბარდეს წავაგებული, სტიქიაა და გზა არ გამიშვებს. ჩაის შეგვკამ, წავალ და ორ დღეში ჩავაბარებთ.

სერიმ სული მოითქვა, რადგან კაპიტანმა ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ირინას ვერა ერქვა და პავლოდარიდან კი არა, როსტოვიდან იყო. განალისდა და დააძალა საუზმე სტუმარს, ის კი არ იცოდა, რომ კაპიტანმა სწორედ ამიტომ წამოიწყო ეს ყველაფერი.

– არა მგონია, ჩაის დასალევა იყავი ჩვენიან მოსული, ან ჩვენი ჯანმრთელობა გაწუხებდა, უფროსო.

ჯივრულად თქვი, რა გინდა ჩვენგან. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, თქვენ – თქვენი. მთავარია, არ გადაიკვიროს ეს გზები. როგორც გინდა, ისე გაივს.

– სერი, დავალებათა, უნდა გავიგო, რით არსებობ, რითი ცხოვრობ. მე შენი რა მინდა, მაგრამ ჩემს უფროსებსაც ხომ უნდა ვუთხრა გატარებული ღონისძიების შესახებ. როგორც მეტყვი, ისე მივიტან ამბავს და მერე შენც გეტყვი.


– ჩვენ რუსეთში მივედივართ და შეგვეშვი, უფროსო. აქ საქმეს არ გაგიფუჭებთ, თქვენც თავი დაგვანებეთ. ამათი სისასტიკის შესახებ იცოდა კაპიტანმა და უფრო მოლბა.

მთავარია, ცოცხალი გავიდეს ამ ბუნავიდან.

(გაგრძელება იქნება)

სოფლის მეურნეობა საქართველოში

იბეჭდება მასალური უფლებით



1. სოციალური ვითარება საქართველოს სოფლებში. XIX საუკუნის დასასრულიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სოფლის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია, რაც, ცხადია, დიდად განაპირობებდა სოფლად აგრარული მეურნეობის მდგომარეობას. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გავლენას ახდენდა: **ფისკალური პოლიტიკა, მცირემწიანობა, სოფლის მოსახლეობის საშოვარზე გასვლა, დაქირავებული შრომა სოფლად, მოუსავლიანობა და სხვა ფაქტორები.**

ფისკალური პოლიტიკა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადს და ერობის ფულად მოსაკრებელს, რაც კი ადგილ-მამულის შემოსავლიდან იანგარიშებოდა, იხდიდა მხოლოდ ე.წ. **გამომდებელი წოდება, ანუ გლეხობა.** მემამულეები (თავადები და აზნაურები), რომლებიც ფლობდნენ მიწის ფონდის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, სახელმწიფო გადასახადებისაგან თავისუფალი იყო. თავდაზნაურობა ერობის მოსაკრებელს ფრიად უმნიშვნელო რაოდენობით იხდიდა. ეს გადასახადი მხოლოდ მოძრავების მოსამართლეა და გლეხთა საქმეების საგანგოს შესანახ ხარჯებს ფარავდა. გლეხები, რომელთა სარგებლობაში დაახლოებით 2-ჯერ მეტი მიწა იყო, თავდაზნაურობაზე 20-ჯერ მეტ გადასახადს იხდიდნენ მხოლოდ ფულადი გადასახადის სახით. გარდა ამისა, გლეხობას აწევა ერობის ნატურალურ ბეგართა მთელი სიმძიმე. გლეხობას უნდა გაეღო სასოფლო თემის მოსაკრებელიც.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო გლეხთა სარგებლობაში არსებულ ვარგისი მიწების ყოველ 1 დესეტინაზე საერთო მოსაკრებელი 78 კაპიკს შეადგენდა, მაშინ, როდესაც რუსეთის შიდა გუბერნიებში ეს ციფრი 10,5 კაპიკს უდრიდა, ხოლო 90-იან წლებში 13 კაპიკამდე გაიზარდა. იგივე ვითარება იყო მთელსამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში). მიუხედავად ამისა, რუსეთის ცენტრალური პრეზსა ამტკიცებდა, რომ სამხრეთ კავკასიიდან სახელმწიფოს მცირე შემოსავალი ჰქონდა და მოითხოვდა მოსახლეობის უფრო მეტად დაბეგვრას. მართალია, გადასახადი არ გაზრდილა, მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებდა ის, რომ რუსეთის იმპერიის მთავრობამ სამხრეთ კავკასიაში ძალაში დატოვა ბეგარა-გამოსაღებათა გაწერის ის წესი, რომელიც XIX საუკუნემდე არსებობდა – კომლობრივი გაწერა. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოში შემოიღეს მოსახლეობის სულაობრივი დაბეგვრა, თუმცა გადასახადების კომპლექსზე გაწერის წესიც ძალაში დატოვეს. ზემოთ ხსენებული ფისკალური პოლიტიკა მძიმე მდგომარეობაში აგდებდა

გლეხობას. კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი იმპერატორ ნიკოლაი II-თვის წარდგენილ მოხსენებაში, როდესაც 1905 წლის რევოლუციის ეკონომიკურ მიზეზებს ეხებოდა, იძულებული იყო ელიარებინა, რომ კავკასიის გლეხობისათვის სრულიად შეუძლებელი გახდა მიწათმოქმედების კულტურაში ისეთი სიანხის შეტანა, რომელიც ამა თუ იმ ფორმით დანახარჯების გაზრდას გამოიწვევდა. მუშა პირუტყვის სიმცირე, მიწათმოქმედების პრიმიტიული იარაღები, მიწის გაუნყოფებლობა იწვევდა მოსავლიანობის მუდმივად მზარდ შემცირებას. აი, რა მოჰყვა იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც გამოსაღებია ტვირთის მთელი სიმძიმე კავკასიის გლეხობას აეისრებდა. გლეხური მეურნეობის დაცემამ გავლენა იქონია მემამულეთა შემოსავალზე. ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ სამხრეთ კავკასიის მემამულეები დღემდე თითქმის არ ეწევიან საკუთარ მეურნეობას, გაბატონებულია საზიარო მეურნეობის სისტემა, რომლის პირობად სანახევრო პრინციპია მიჩნეული.

1901 წელს გატარებული რეფორმის ძალით, კომლობრივი გამოსაღები და სხვადასხვა სახის ბეგარა მოისპო და მათ ნაცვლად დაწესდა: 1. სახელმწიფო გლეხთა მუდმივ სარგებლობაში არსებულ ხაზინის მიწაზე – **ღალის გამოსაღები**; 2. ყველა სხვა მიწაზე – **ადგილ-მამულის სახელმწიფო გადასახადი**; 3. მემამულეთა (თავდაზნაურთა) და გლეხთა ყველა მიწაზე – **ერობის მოსაკრებელი**. რეფორმის გლეხთა მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება არ მოჰყოლია. 1907 წლის ოფიციალური მონაცემებით, გლეხობაზე გაწერილი ბეგარა-გადასახადები მხოლოდ 2%-ით შემცირდა. სამაგიეროდ, სხვა სახის გადასახადთა საერთო ჯამი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1909 წლისათვის ღალის გამოსაღები 2-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. 1910 წელს ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი ადიაბედა: "ღალის გამოსაღები ამიერკავკასიაში არის სრული ანაქრონიზმი და ამასთან ერთად, იგი წარმოადგენს აუტანელ ტვირთს (...) გადამხდელთათვის." ამაზე ბევრად უფრო ადრე ღალის გამოსაღების მოსპობის აუცილებლობას ასაბუთებდა კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი. მეფისნაცვლის შეხედულება მხოლოდ გლეხობის აუტანელი მდგომარეობიდან არ გამომდინარეობდა, იგი პოლიტიკური მოსაზრებითა და ხაზინის ინტერესებით იყო განპირობებული. თავის პოზიციას მეფისნაცვალ იურიდიული თვალსაზრისითაც ასაბუთებდა: 1861 წლის 5 მარტის იმპერატორ ალექსანდრ II-ის ბრძანებულებით, მიწაზე საკუთრების უფლება მიენიჭა ყველა კატეგორიის

გლეხს, როგორც სახელმწიფო, ასევე სახელმწიფო მიწაზე დასახლებულ მონაშენსაც; 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტით, რუსეთის შიდა გუბერნიის ყოფილი სახელმწიფო გლეხები გადაყვანილი იქნენ კერძო მესაკუთრეთა კატეგორიაში და მათი მიწები გადასახადების მხრივ გაუთანასწორდა კერძო მფლობელთა მიწებს და დაიბეგრნენ ადგილ-მამულის სახელმწიფო გადასახადით. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო გლეხებზე არც 1861 წლის 5 მარტისა და არც 1905 წლის 3 ნოემბრის კანონები არ გავრცელებულა, რის გამოც აქაური გლეხობა 1917 წლამდე იხდიდა ღალის გამოსაღებს. 1900 წლის 12 ივნისის კანონით, ამიერკავკასიაში 1901 წლიდან შემოღებული იქნა ადგილ-მამულის სახელმწიფო გადასახადი. ეს გადასახადი კერძო მფლობელთა მიწებზე უნდა გაწერილიყო წმინდა შემოსავლის 1,8%-ის მოცულობით. 1908 წლიდან გადასახადი გაიზარდა და 3,6%-ს გაუტოლდა.

ამრიგად, გლეხთა მოძრაობის გაძლიერების თავიდან აცილების მიზნით 1901 წლიდან სამხრეთ კავკასიაში დაბეგრული იქნა როგორც გლეხთა, ისე სახელმწიფო და თავდაზნაურთა მიწები, თუმცა გადასახადის დიფერენცირებას პრინციპი უზრუნველყოფდა თავდაზნაურთა პრივილეგიებზე მდგომარეობას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის მთავრობის ფისკალური პოლიტიკა არსებითად არ იცვლებოდა.

გადასახადის დიფერენცირება იმას ნიშნავდა, რომ დადგინდა დაბეგვრის გაწერითი ფორმა, როდესაც გუბერნიებზე შეწერილი გადასახადის საერთო ჯამი ისახლეგებოდა კანონმდებლობის გზით – მიწის შემოსავლიანობის მიხედვით. ეს იმას ნიშნავდა, რომ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა მიწის შემოსავლიანობის გარკვევა, რაც სახაზინო პალატებს უნდა ეწარმოებინათ. შემოსავლიანობის დადგენა **გამოსაღებთა ინსპექტორების** მოვალეობა იყო. კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი აღნიშნავდა, რომ მიწის შემოსავლიანობის დადგენისათვის "არ არსებობდა არავითარი ადგილობრივი გამოკვლევები და შეფასებები მასალები", რის გამოც გამოსაღებთა ინსპექტორები თვით გადამხდელთა განცხადებებისა და საკუთარი შთაბეჭდილებების მიხედვით განსაზღვრავდნენ მიწის შემოსავლიანობას. საქართველოში მიწების შემოსავლიანობა ადგილმდებარეობის, სიმაღლის, დაქანებულობის, სარწყავა-ურწყავის, მოსაყვანი კულტურისა და კიდევ მრავალი სხვა ფაქტორის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო. ცხადია, ყოველივე ამას გამოსაღებთა ინსპექტორები ვერ შეძლებდნენ. ეს ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ინსპექტორებზე ზეგავლენა მოეხდინა, ხოლო ამ უკანასკნელებს გლეხთა მიწების შემოსავლიანობა ხელთნურად გაეზარდათ. შემოსავლიანობის დადგენის პროცესის სირთულის გამო გლეხობას საშუალება არ ჰქონდა, კონტროლი გაეწია გამოსაღებთა ინსპექტორების საქმიანობისათვის. იმავე დროულად, ინსპექტორები ხელთნურად ამცირებდნენ მემამულეთა და სახელმწიფო მიწების შემოსავლიანობას. ეს ტენდენცია თავის დროზე კარგად შეუნიშნავს კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს. არსებული მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ გლეხთა მიწების შემოსავლიანობა

ისე იყო განსაზღვრული, რომ 2 – 2,5-ჯერ სჭარბობდა მემამულეთა მიწების შემოსავლიანობას. ამასთან ერთად, ერთი დესეტინა სახელმწიფო მიწა 3 კაპიკით იბეგრებოდა, მემამულისა – 20,4 კაპიკით, გლეხისა – 45,5 კაპიკით. გასაგებია, თუ რატომ დატოვა თითქმის დაუბეგრავი რუსეთის მთავრობამ სახელმწიფო მიწები, მაგრამ სრულიად ალოგიკური იყო ის, რომ გლეხობის მიწები 45,5 კაპიკით იბეგრებოდა, ხოლო მემამულეთა – 20,4 კაპიკით. ასე რომ, გადასახადის მთელი სიმძიმე გლეხობას დააწვა მხრებზე. საქართველოს გლეხობა რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხობასთან შედარებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების გლეხობის სანადგლო მიწა 1 დესეტინაზე გადაანგარიშებით რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხობის მიწებთან შედარებით 3 – 4-ჯერ მეტად იბეგრებოდა.

1904-1909 წლებში, რევოლუციური მოძრაობის გავლენით, გადასახადთა რაოდენობა თანდათან უხლოვდა ერთმანეთს: მემამულე 1 დესეტინა მიწაზე იხდიდა 21,9 კაპიკს, ხოლო გლეხობა – 27 კაპიკს. ამის მიუხედავად, თავდაზნაურობას არაოფიციალურად მინც ეძლეოდა პრივილეგია: მემამულეები თავიანთ მიწაზე შეწერილ გადასახადს წლების განმავლობაში არ იხდიდნენ, ხოლო შემდეგ ხელისუფლება ხელმოკლეობის საბაბით მათ გადასახადებს ნაწილობრივ ან მთლიანად ჩამოაწერდა ხოლმე. 1901 წელს "საქართველოს რუსეთთან შეერთების" ასი წლისთავთან დაკავშირებით, იმპერატორის რესკრიპტით, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავდაზნაურობა, რომელთა მიწები 1900 წლის კანონით სამი წლის ვადით (1901-1903 წწ.) გადასახადებისაგან გათავისუფლებული იყო, კიდევ სამი წლით გათავისუფლდა მიწის გადასახადისაგან. გარდა ამისა, თავდაზნაურობას მთლიანად ეპატია 1901 წლის 1 იანვრამდე მასზე რიცხული სახელმწიფო გადასახადის ნარჩენები.

ღალის გამოსაღების შემდეგ მთავარი გადასახადი იყო ერობის მოსაკრებელი, რაც ყოველგვარ მოსაკრებელთა საერთო ჯამის 44%-ს შეადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერობის ყოველგვარ მოსაკრებელთა 66% გლეხთა მიწებზე მოდიოდა, ხოლო 34% – მემამულეთა მიწებზე. 1901 წლის რეფორმა ერობის შემოსავალ-გასავალსაც შეეხო. ერობის მოსაკრებელთა მთელი რაოდენობა ერობის განკარგულებაში რჩებოდა, მაშინ, როდესაც წინათ ერობის მოსაკრებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საზინაში შედიოდა. ეს იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ერობას შეეძლო მნიშვნელოვანი თანხები დაეხარჯა მოსახლეობის ჯანდაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებისათვის. იმავე წელს ცხადი გახდა, რომ ერობა მიღებულ შემოსავალს ვერ გამოიყენებდა. 1901 წელსვე ხელისუფლებამ ერობას დიდი ხარჯი დაუწესა, ეს ხარჯი 2-ჯერ აღემატებოდა იმ თანხას, რომელიც ერობას რეფორმამდე შეჰქონდა სახელმწიფო ხაზინაში. კერძოდ, 1901 წლიდან კავკასიაში პოლიციის სტრაჟნიკთა შესანახავად ერობას ყოველწლიურად უნდა გადაეხდინა 2.500.000 მანეთი, 1901 წელს კავკასიის ერობის საერთო შემოსავლის (4.670.000

მანეთი) 57% პოლიციის სტრაჟნიკთა შენახვაზე დაიხარჯა. ერობის საჭიროებებს მოხმარდა შედარებით უმნიშვნელო ნაწილი: 4,8% – ადმინისტრაციულ საჭიროებებზე, 39% – ჯანდაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ამ 39%-დან 20% გზების გაყვანასა და შეკეთებას მოხმარდა, 13% – ჯანდაცვას, 4% – განათლებას. 1903 წელს კავკასიის ერობათა მიეღი შემოსავლის 60,1% თვით ერობის მმართველობის შენახვასა და ადმინისტრაციული ხარჯების (პოლიციის სტრაჟნიკთა შენახვა, ტუსალების გადაყვანა და სხვ.) დაფარვას მოხმარდა. და ეს მაშინ, როდესაც ამავე მიზნით 1903 წელს რუსეთის 34 შიდა გუბერნიებში ერობის მთელი შემოსავლის მხოლოდ 17,1% დაიხარჯა. 1903 წელს კავკასიის ერობის შემოსავლებიდან სახალხო განათლებას 3,3% მოხმარდა, ხოლო რუსეთის შიდა გუბერნიებში – 18,8%; კავკასიაში ჯანდაცვასა და ვეტერინალურ მომსახურებაზე 16,6%, ხოლო რუსეთის შიდა გუბერნიებში 51,8% დაიხარჯა. შემორჩენილი სტატისტიკური მასალით დგინდება, თუ როგორ იზრდებოდა ამიერკავკასიაში ერობის ხარჯები:

1. 1865 წელი – 1.288.300 მანეთი;
2. 1872 წელი – 1.752.900 მანეთი;
3. 1882 წელი – 2.300.000 მანეთი;
4. 1902 წელი – 3.259.000 მანეთი;
5. 1904 წელი – 4.670.000 მანეთი.
6. 1911 წელი – 6.500.000 მანეთი.

ამრიგად, ერობის ხარჯები 1865–1911 წლებში, ე.ი. 46 წლის განმავლობაში, დაახლოებით 5-ჯერ, ხოლო უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში თითქმის 2-ჯერ გაიზარდა.

საშოვარზე გასვლა. XX საუკუნის დამდეგიდან საქართველოში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა საშოვარზე გასული გლეხობის რაოდენობა. საშოვარზე (ქირაზე) გასვლა (სოფლისმეურნეობრივი) – როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მიწათმოქმედი გლეხი სხვა სოფელში მიდის და ისევე მიწათმოქმედებით არის დაკავებული; 2. **არამიწათმოქმედური (მრეწველური)** – როდესაც გლეხი სოფლიდან მიდის და მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, ძირითადად ქალაქში, საქმიანობს. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო იზრდება იმ გლეხთა რაოდენობა, რომლებიც მიწათმოქმედებს თავს ანებებენ და ქალაქის სამრეწველო საწარმოებში პოულობენ სამუშაოს.

საშოვარზე გასვლის ძირითადი მიზეზი **მცირემწიანობა**, ანუ „მიწის ნაკლებობა" და "სოფლად ზედმეტი მუშახელის" გაჩენა იყო. საშოვარზე გასვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოს მთიან რაიონებში, სადაც სახნავ-სათესად ვარგისი მიწის სიმცირე იყო და ბუნებრივი პირობები – მკაცრი. გლეხი, რომელსაც ოჯახის გამოკვების საშუალება არ გააჩნდა, საშოვარზე გადიოდა.

(გაბრძობა იმემა)

მანტანა ბურული

საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი 3, გვ.120-124

ჯეაქო ჩელიკი – 80

კიდევ დიდხანს გვეყოლე, დიდხანს გაგვაგონე უნეი ხავერდოვანი გვირაა!!!

- კაცი 75 წელია სცენაზე;
- კაცმა სიმღერით საუბარი და ურთიერთობა გვასწავლა;
- კაცს უსიამოლოდ, უსიყვარულოდ და უჩველოდ ცხოვრება არ შეუძლია;
- კაცის ამონახუნთშიც მუსიკალურიც;
- კაცით ვამაყობთ და დიდხანს ვიამაყებთ;
- კაცად ვუთხროვებთ ყოველს რომ მართლაც ღირს, ამავე ამ კაცის განვლილი გზა ამტკიცებს;
- კაცო, კიდევ დიდხანს გვეყოლე, დიდხანს გაგვაგონე უნეი ხავერდოვანი გვირაა!!!

ამ დღემ სურბარა არა ზოგადი კაცზე, არამედ კონკრეტულ პერსონაზე, ვისაც ვეძღვებ ველთა კვანძს, ვისი სახელის შვიდ ბრუნვამ მოხსენიება შეიძლება ციხის-ტყელების გამოვლინების ტოლფასია, თუმცა, ეს სულაც არ არის საკმარისი მისი პიროვნული თვისებების ბოლომდე გადამოსაცემად, მთი უფრო, მისი ღვაწლის შესავსებლად.

14 ნოემბერს თბილისი იყო, 80 წლის გახდა, სახლში ვეწვიეთ, ჭაგვავადის გამზირზე, რამდენიმე დღის შემდეგ და ნაგვანვედ მიუვლოცეთ. არაფერი უკავს თინძოცა წლისას, საერობრად ნაკლები ასაკის გამოიყურება. რვა ათეული წლის წინათ აკანადარწეული კაცი, სახელდახლოდ გამხადებულ სუფრასთან, ნაწვეტ-ნაწვეტ, მოკრძალებით გვეცნობს თავის ბოგრაფიას.

„ოზურგეთის Nel სკოლაში სამუალო განათლების მიღების შემდეგ, 1959 წლის სწავლა განაგრძე თბილისში, ზ. ფალაშვილის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში გუნდისა და ხალხურ საკრავთა ორკესტრის დირიჟორის ფაქულტეტზე, რომლის წარჩინებით დასრულების შემდეგ განაწილეს ჩინატაურის რაიონის სამუსიკო სკოლაში, საორკესტრო განყოფილების გამგედ. სოფელ ამაღლებამ გავხსენი სამუსიკო სკოლა და პარალელურად ვასწავლიდი კიდევ, ჩინატაურის სამუსიკო სკოლაში შეხვედი ჩემს მომავალ მეუღლეს, ქალბატონ ნათელა თალაგაძეს, რომელიც ასევე დირიჟორი გახლდათ. მოგვიანებით დაქორწინდით და საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ მანარაბეში (ამჟამინდელი ოზურგეთში) დავეფუძნეთ.

1965 წლის 15 სექტემბერს მუშაობა დაიწყო მშობლიურ სკოლაში სიმღერა-მუსიკის მასწავლებლად და მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად. პარალელურად ემუშაობდი მანარაბის სკოლა-ინსტიტუტში, სადაც დღევანდელი ორი საბავშვო ობერა – „ფინილი“ და „ყურცეობა“ და „ნაბა“. სხვადასხვა წლებში ასევე ემუშაობდი მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელად ასე-ანაში, ნატანებში, აკეთში, შემოქმედში, კაკეჯვარში...



ვტყობა, არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი, ზღვებდა მორიდებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავისი მეგობრებიდან, კოლეგებიდან, საზოგადოებიდან ხშირ ვიცო, რა შრომა ჩადო მშობლიურ სკოლაში, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნე იღვწა. წარმატებებს წარმატებები ემატებოდა, სკოლის ანსამბლი თორმეტჯერ გახდა სხვადასხვა ოლიმპიადის – რესპუბლიკური თუ საკავშირო ფესტივალის ლაურეატი.

მეუღლეზე ქალბატონ ნათელა თალაგაძეზე ჩამოვუდებ სიტყვა, რომ არა ნათელა, ვერაფერს შევძლებდი, მეუბნება:

„მარტო კაცი მუსიკაშიც ცოდა, 2012 წლის გარდაცვალებამ ნათელა, ისიც პროფესიით მუსიკოსი, დირიჟორი, 33 წელი იმუშავა კულტურის სახლში, მუსიკალური სტუდიის ხელმძღვანელი გახლდათ. რომ არა ის, ცხოვრებამ ვერაფერს შევძლებდი“.

წარსულების მოსაგონარს სვამს და ისინებს შევიღის, ნინოს გარდაცვალებით განვიდდი სიმწარეს:

„ეს, დროთა განმავლობაში ადამიანი იტულებთ ეგუბა მოცულობას. 1973 წელს შევიღის დაკარგვის უბედურებაც გაიარეთ მე და ნათელამ, ოთხი წლისა და 24 დღის იყო ჩვენი ნინოც, როცა სამარადეთი სასუფრეების გზას დადგა მწუხრით დაღუპა ჩემი სიმღერა გაბატონებული ოჯახი. მერე-მერე, როცა იმბა ნათესაების, ახლობლების, მეგობრების თანადგომამ, მინც თავისი ჰქნა სიმღერის სფეროვალმა, მინც გავრთულდა ჩვენი წუთისოფელი“.

ბატონ ვეშალოს ეამცება, რომ ის იყო დიდი ანსამბლის „ელესას“ წევრი, როცა ამ ანსამბლმა დაუფიქვარი გასტროლები განხორციელა მოსკოვში, ჩინეთში, ბალტიისპირეთში...

რაც შეეხება „ნაკაულს“, ოზურგეთში ამ პირველი საესტრადო ანსამბლის შექმნას და შემდგომ წარმატებებში ბატონ ვეშალოს ცვალებადი დღე-ღამე მუშაობის ზაურ ბოლქვაძის შემდეგ.

„ისტორია „ნაკაულის“ შექმნის ჩემი და ბატონ ზაურ ბოლქვაძის პირველი შეხვედრის უკავშირდება. რესტორან „გურიაში“ შევხვდით, მანამდე ერთმანეთს არ ვიცნობდით. სხვადასხვა სუფრაზე ვისხვდით. სიმღერა გაგონა, მოვიდა, ეს განუყოფელი ბერიისა და თუმბისი კაცი, მოგვესალმა და კახური „მრავალკანონი“ დაიწყო, ავეყვით და გადავხვით „გურია“. აქ მითხრა, რომ „ნაკაულის“ შექმნას აპირებდა და გვერდით ღვობა მთხოვა. ეს ერთ-ერთი განსაკუთრებულად ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. ანსამბლის ჩამოყალიბებაში ყველაწარ დახმარებას გვწვევდა ბატონი თეიმურაზი შვილი, რომელიც

მამის კომპოზირების მხარაძის რაკომის პირველი მდივანი იყო.

ეს იყო 1966 წელი. პირველი სიმღერასაც „ნაკაული“ ერქვა ტექსტის ავტორი თამაზ ხინიბიძე გახლდათ, მუსიკის – ზაურ ბოლქვაძე იმ პერიოდში, როცა რესპუბლიკის მასშტაბით მიმდინარეობდა „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, რეპერტუარში ვხანსულ კახიძის „აქიმანტული“ და ნი-ვიკოვის „დაროვი“ (საფალბელო რე-სული სიმღერა) გვერდა. ბათუმში ჩატარებულ ზონალურ ტურში, მიუხედავად ტექნიკური ხელშეშლისა, პირველი ადგილი ავიღეთ, ხოლო თბილისში დაემატა, რომ „აქიმანტული“ ტალანტების ანსამბლი იყო.

შევეცადა „ნაკაულის“ პირველი მორაკრავებიც დაესახლებინა:

„ორკესტრი კაცი სალონებზე – საქაფონი, კლარნეტი; ომარ დლოძე – დასარტყელი ინსტრუმენტი; რეზო შვიშვილი – კლავიშო, თან ორკესტრის ხელმძღვანელი; ბორის ბიბინიშვილი – კორნაბასი; ომარ წიტიშვილი – სოლოგიტარა; სკოლის მოსწავლე ვიორე წიტიშვილი, სოლო ვიტარა და სიმღერა; სოლისტები: ნოდარ სირაძე, ზინადა კრავიცი, სუსანა სიდაცი.

კვარტეტი: ზაურ ბოლქვაძე, ვეშალო ტელიძე, გელა ცვლაძე, ბახა ოთხმეხური, მისი ვიორეაბე (მონაცლიებით), ოლი ინკარველი – სოლისტიც, კვარტეტის წევრიც“.

ასაკში ვარ დაშეიძლება ვინმე გამომჩნა კიდევ, მიიბოდიმა.

იღია ინკარველი ის კაცია, რომელსაც მუსიკის სფეროში ადვილად არაფერი გამოეპარება, საიდანაც გავი, რომ ბატონი ვეშალოს შესახებ საგაზეთო წერილს ვამზადებდით და გასულ პარასკევს რელაქციაში გვეწვია:



„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვეზვით, მე თუ რაბეს წარმოვადერ ხელოვნებაში, ეს ვეშალოს წყალობითაა, მისი დამსახურებაა, მან ამაღლებინა ფეხი ბრწყინვალე ანსამბლ „ნაკაულში“.

როცა ვეშალო თბილისში სეზუნლი სადირიჟორი სწავლობდა, ლეშქაშელის 37-ში ცხოვრობდა, მასსოვს პატარა ოთახი იყო ძლიანი, რომელშიც ერთი პანანი იდგა მხოლოდ. იქ დავდიდი მასთან. იქ იყო სიმღერაც, პურისჭამაც, ჩანუტყაც, მეგობრობაც.

ბავშვობიდან ემეგობრობთ, ჩემს სოფელთან, ბოგაურთან ძლიანი დიდი ურთიერთობა აქვს, იქ დაიბადა და იქვან გადავიდა ოზურგეთში. თითქმის მთელი ცხოვრება ვვერთი. 1967 წლის ბოლოს, როცა მე სამხედრო საფალბელო სამსახურიდან სახლში დავბრუნდი, ვეშალომ მომხმნა და მითხრა, ზაურ ბოლქვაძის

ხელმძღვანელობით ანსამბლი ვეცავით, წამოდი, ზაურს შეგახვედრებო. რესტორან „იზაბელაში“ შევხვდით, პატარა სუფრა გაკეთდა, წავლიდით. არ მინდა ტრანაზი, ან გადატეხული გამომვიდეს, მგრამ მამის ხმზე ვიყავი. პოდა, ბატონმა ზაურმა მითხრა, ორმასათს რეპერტუარიზე მოხვალე. აქვან დაიწყო ჩვენი ერთობლივი მოღვაწეობა ანსამბლ „ნაკაულში“. ვეხსოვებათ, ალბათ, 1972 წელს ჩატარდა საესტრადო მომღერალთა ფესტივალი, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“. პირველი ტური ბათუმში, გაიმართა, სადაც ბრწყინვალე გამოვიდით და ვეიმარჯვეთ, მეორე ტური კი დაინიშნა თბილისში, სპორტის სასახლეში, იქაც ვიმარჯვეთ.

მერე, მოგეხსენებათ, კომპოზირის რაკომს დიდი ვერაფერი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნდა და ანსამბლზე შეგობა ადლო ანასკელის კლავიშო ინსტრუმენტმა, რომელსაც ვახტანგ ვაჯელი ხელმძღვანელობდა. ბატონმა ვახტანგმა და ბატონმა მანუარ მამიშვილმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ანსამბლს, რომელსაც „ნასკული“ ეწოდა, განერძო მოღვაწეობა. ვევაძე ზაურის მოსკოვში, იქ შევეცხინეს მუსიკალური ინსტრუმენტები. ჩამოვიდით და შევეუფეთ საქმარობას. ვეშალოს თაოსნობით აქ ვეცნო ჩემს შესაძლებლობებს ბატონი მიხელო შვიშვილი, რომელმაც ბატონ ზაურს უთხრა, შენ ხომ ხარ „შეიდაკაში“ ხარ, ბარე ეს ვასწავლიც ვადმივიყვანო“.

კარგა ხანს, ოთხმოცათ წლებამდე აარსება „ნაკაულს“, დავდიდით ფესტივალებზე, კონკერტებზე, შეხვედრებზე, ყველაფერს. უფრო ასაკივინები გამოგაკაჯინენ. ოთხნი - ვეშალო ტელიძე, ზაურ ბოლქვაძე, ვიორე წიტიშვილი და მე შემოვრით პირველი შემადგენლობიდან.

7 დღის ამინდის პროგნოზი

	წვიმა, +2+6		მზა, ღრუბალი +3+11		წვიმა, 0+6		წვიმა, +3+6		მზა, +3+8		წვიმა, +3+8		წვიმა, +3+8
23 ნოემბერი ორშაბათი		24 ნოემბერი სამშაბათი		25 ნოემბერი ოთხშაბათი		26 ნოემბერი ხუთშაბათი		27 ნოემბერი პარასკევი		28 ნოემბერი შაბათი		29 ნოემბერი კვირა	

თეიმურაზ მარშანიშვილი